

აჭარის არ ლანდშაფტების ეკოლოგიური მდგომარეობა და მისი გეოკოლოგიური გაუმჯობესების ღონისძიებანი

ფაღავა ნ., ქამადაძე ც., ჭიჭილეიშვილი ხ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ბუნებრივ კომპლექსებზე მძლავრმა ანთროპოგენურმა დატვირთვამ აჭარის ისედაც რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში გამოიწვია გეოეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა. ამის გამო აჭარის ტერიტორიაზე ბოლო პერიოდში გააქტიურდა მეწყერები, თოვლზვავები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია და სხვა. აღნიშნულ პროცესებს ადგილი აქვს, როგორც ზღვისპირა, ასევე შიგა მთიანი აჭარის პირობებში. აჭარაში სულ დაიმეწყრა 177 სოფელი და დამეწყრვის ზონაშია 51 სოფელი. ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში რამდენიმე ოჯახმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. ზოგჯერ ფერდობზე ადგილი აქვს ნიადაგის ჩაქცევას (ქობულეთის რაიონი, სოფელი ჩაისუბანი), რის გამო კაპიტალური სახლი იშლება.

საკვანძო სიტყვები: ლანდშაფტი, გეოკოლოგია.

აჭარის ტერიტორია განიცდის ძლიერ ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას, რომლის ანალოგი არ გვხვდება ამიერკავკასიაში. ეს განაპირობა ჭარბმა დასახლებამ, ბუნებრივი ლანდშაფტების ძლიერმა ანთროპოზირებამ, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა რეკრეაციული და აგრარული ლანდშაფტები. ამას ემატება საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლინება, რაც დაკავშირებულია 1988 წლის ცნობილ მიწისძვრასთან და სხვა მრავალ ფაქტორთან. [1-7].

აჭარაში საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლინებას ადგილი ჰქონდა ყოველთვის, რაზეც მეტყველებს უკვე ჩამოყალიბებული მეწყერული რელიეფი, ღვარცოფული გამოტანის კონუსები და სხვა, რომლებზედაც დღეს სოფლების გაშენებული. ამის მთავარი მიზეზი გარდა რთული გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, საიჟინრო-გეოლოგიური, მორფოლოგიური პირობებისა არის ადამიანის ინტენსიური არასწორი საინჟინრო-სამეურნეო საქმიანობაც. საშიში გეოლოგიური პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო 25- 30 წლის განმავლობაში და თანდათან უფრო საშიშ ხასიათს ღებულოს, რასაც თან ახლავს ადამიანთა მსხვერპლი. რაც ასახულია ცხრილი #1-ში.


მეწყერულ უბნებზე მოწყობილ უნდა იქნას სტაციონალური რეჟიმული დაკვირვებების პუნქტები: ზედაპირული და სიღრმითი რეპერები, დასაკვირვებელი ჭაბურღილები და სათვალთვალო ჭები, წყლისმზომები, და ა.შ. აქ სისტემატურად გარკვეული გრაფიკით უნდა

ჩატარდეს დაკვირვებები, გაზომვები, განმეორებითი ნიველირება, აგეგმვა, ასევე წყალსატევების წმენდა, ტყის მოვლა, ნაგებობის შეკეთება და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის შესრულების შემდეგ აჭარის არ ტერიტორიაზე ვიმედოვნებთ, რომ შესაძლებელია ეკოსისტემების დაცვა დეგრადაციისა და დაბინძურებისაგან მთიანეთსა და სხვა მასივებზე და მიწის რესურსების კომპლექსური ათვისება-გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

ცხრილი #1. აჭარის არ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების შედეგად დაზიანებული მიწის ფართობები (აჭარის გეოლოგიური დეპარტამენტის მონაცემებით)

დაზიანებული რაიონებია ჩამონათვალი	დაზიანებული ტერიტ. ფართობი ჰა-ში	დაზიანებული სახალხო-სამეურნეო ობიექტების რაოდენობა
ქობულეთის რაიონი	866.0	27
ხელვაჩაურის რაიონი	395.5	24
ქედის რაიონი	783	47
შუახევის რაიონი	875.0	28
ხულოს რაიონი	1640.5	51
სულ აჭარაში	4560	177



რუკა . აჭარის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური რუკა

ამჟამად აჭარის არ ტერიტორიაზე გეოლოგიის და სამთო საქმის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარდა და ტარდება კვლავაც სტიქიურ-გეოლოგიურ პროცესებზე

დაკვირვების, შეფასების, პროგნოზის, გარემოს ცვლილებების კონტროლსა და მართვის სამუშაოები, რის შედეგადაც გამოყოფილია ლოკალური მეწყერსაშიში ფართობები [1,2,7].

ლიტერატურა

1. აჭარის გეოლოგიური დეპარტამენტის მონაცემები. // ბათუმი, 2018.
2. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები. // ბათუმი, 2015.
3. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021. // თბილისი 2018, გვ. 126-134.
4. ბერძენიშვილი დ. და სხვ. საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობის და საშიში გეოლოგიური პროცესების შესწავლის და პროგნოზირების შესახებ. // თბილისი, 2000.
5. ზარდალიშვილი გ. ადამიანი და გეოგრაფიული გარემო. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომც., თბილისი, 1952. გვ. 45-47.
6. ფაღვა ნ.ზ. აჭარის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტები. // მონოგრაფია. ბათუმი, გამომცემლობა "ბათუმის უნივერსიტეტი", 2006, გვ. 16-29.
7. ფაღვა ნ.ზ. აჭარის ლანდშაფტების ეკოლოგიური მდგომარეობა. // ბსუ შრომები., ტ.XV., 2008., გვ.252-256.

ECOLOGICAL STATUS OF LANDSCAPES OF ADJARA A. R. AND MEASURES FOR THEIR GEOECOLOGICAL IMPROVEMENT

Phagava N., Kamadadze Ts., Chichileishvili Kh.

Summary: The strong anthropogenic load on the natural complexes in the already difficult relief and climatic conditions of Adjara has caused disturbance of geo-ecological equilibrium and strong transformation of natural landscapes, which caused landslides, snowstorms, mudslides, soil erosion and others. These processes occur both in coastal and inland mountainous Adjara. 177 villages have been flooded in Adjara and 51 are in the landslide zone. Also, in Kobuleti and Khelvachauri regions some families changed their place of residence. Occasionally, there is a soil falling on the slope (Kobuleti region, village Chaisubani), causing houses to collapse.

The main factors causing landslide processes need to be identified: the causes (rock movement, their stability due to equilibrium disturbance) and the contributing conditions (the set of events that contribute to the equilibrium disturbance).

After doing all of the above, we hope that in Adjara, ecosystems can be protected from degradation and contamination on the mountains and other massifs and the land resources can be utilized for agricultural purposes.

Key words: Landscapes, geoeology.